



შპს ALUMET

ს/კ 205272818

მის: ქ. თბილისი, მიცვევიჩის ქ #29ა

ვებ გვერდი: www.alumet.ge

პროკრედიტ ბანკი

ბანკის კოდი MIBGGE22

ანგარიშის ნომერი: GE65PC0133600100065698

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალუმეტი“ ს/კ 205272818 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია 12/02/2009 წელი.

დღგ-ს გადამხდელია 17/02/2009 წლიდან.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მისამართია ქ. თბილისი იუმაშევის ქ. 4 (იჯარა) და იუმაშევის ქ. 16. (იჯარა), ოფისი განთავსებულია ასევე ნაქირავეზ ფართში მიცვევიჩის 29ა ნომერში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში.

შპს „ალუმეტი“ არის შპს „ბკ კონსტრაქშენის“, შპს „ბოსტონ დეველოპმენტის“, შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრის“, შპს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“ შპს „ჯდჯ“ კომპანიების ქვეკონტრაქტორი კომპანია, რომელიც აწარმოებს მეტალო პლასმასის და ალუმინის კარ-ფანჯრების მონტაჟსა და ვიტრაჟების მოწყობას მიმდინარე საამშენებლო პროექტებზე.

კომპანია ძირითადად სარგებლობს იმპორტირებული პროდუქციით და მისი ძირითადი მომწოდებლები არიან :

„KURTOGLU BAKIR KURSUN " (თურქეთი)

ARDIC CAM SANAYI TIC (თურქეთი)

GENTAS GENEL METAL SAN (თურქეთი)



EGEPROFIL TICARETI VE SAN A. S. (თურქეთი)

ООО REYNAERS (უკრაინა)

ALUMIL (საბერძნეთი)

BTS ALUMINIUM (თურქეთი)

SARAY (თურქეთი)

ადგილობრივ ბაზარზე ხდება ძირითადად მცირეფასიანი საქონლის შეძენა.

კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა 2016 წელს- 538784 ლარს, 2017 წელს -734334 ლარს, 2018 წელს- 1 180 779 , 2019-1 800 204 ლარს, 2020 წელს -1 648 008 ლარს 2021 წელს -1481521 ლარს შეადგენდა .

სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგები

სარგებლობს რა დარიცხვის მეთოდით კომპანიაში დასაბეგრ ოპერაციად განიხილება შესრულებული სამუშაოდან და მომსახურებიდან დარიცხული შემოსავალი, შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე .ამ პრინციპით კომპანიის შემოსავლები შეადგენს ლარს .

ასევე კომპანიას აქვს მიღებული ავანსები ,რადგან მუშაობის პროცესიდან გამომდინარე დამკვეთი რიცხავს კონტრაქტის ღირებულების 60 %. (საბანკო გარანტიის საფუძველზე) და ამის შემდეგ მოზიდული სახსრებით ხდება საწირო მასალების შეძენა.

ფულადი სახსრების მოძრაობა კომპანიაში ხდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. როგორც მომწოდებლებზე გადახდა, ასევე ყველა საკრედიტო დავალიანების დაფარვა.

აქედან გამომდინარე 2022 წლისა და 2023 წლის ფულადი სახსრები არის მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხები.

შენიშვნა: კომპანია იყენებს სადეპოზიტო ანგარიშებს ,სადაც ხდება მიღებული თანხების დაგროვება სავალუტო ანგარიშებზე . (აქედან გამომდინარე გვაქვს კურთაშორისი შმოსავლები -და ზარალი)

დასაქმებულთა რაოდენობა

კომპანიას ადმინისტრაციაში დასაქმებული ყავს საშუალოდ 17 ადამიანი ,რაც შეეხება ხელოსნებს მათი მოწვევა ხდება საჭიროებიდან გამომდინარე , რაზეც კომპანია აწარმოებს ტაბელებს და განსაზღვრავს ასანაზღაურებელ თანხას .ამ პრინციპით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წ.28 ივნისის ბრძანების მიხედვით კომპანიამ მოახდინა თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრა, რამაც შეადგინა 56 კაცი.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვებული გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულებაზე,მათი სასარგებლო სავარაუდო მომსახურების ვადის განსაზღვრით წრფივი მეთოდის გამოყენებით . ამ პრინციპიდან გამომდინარე კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და 2017 წლიდან განახორციელა პროცენტული ცვლილება დარიცხვასთან მიმართებაში და გამოიყენა შემდეგი პროცენტული მაჩვენებელი :



კომპანიამ არსებული მანქანადანადგარების ცვეთის % განსაზღვრა 10 %, საოფისე მოწყობილობების 15 %, ხოლო ავტომანქანების 7 % ით.

არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე კომპანია შეისყიდის საწვავს, რომელის ჩამოწერაც ხდება ეკონომიური საქმიანობიდან გამომდინარე და ოდომეტრის ჩვენების შესაბამისად.
(ფინანსთა მინისტრის ბრძ # 230 2011 წ. 18/04)

სასაქონლო -მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით . პროდუქცია გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიაში ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და შედარება ბუღალტრულ პროგრამასთან.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ანალიზდება **სავაჭრო და სხვა მოთხოვნების** საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არის თუ არა ამოღებადი , ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში ხდება აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშზე.

სავაჭრო ვალდებულებები კომპანიაში წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს. სავალუტო ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება საანგარიშო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით და აისახება საკურსო სხვაობით წარმოქმნილ სხვა შემოსავლების ან სხვა ხარჯების ანგარიშზე და მათ შორის სხვაობა არის ჩაწერილი ანგარიშგებაში.

კომპანიაში შემოსული **სესხი დამფუძნებლისაგან** გადახდილია სრულად და დამფუძნებლის განატანი იბეგრება როგორც დივიდენდი.

კომპანიის აქვს ასევე **გრძელვადიანი კონტრაქტები**. ამიტომაც შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობის მიზნით ფინანსურ ანგარიშგებაში წლის ბოლოს ხდება შემოსავლების დაკორექტირება .(ასეთის ასეობის შემთხვევაში)



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები		5568807	8826179
საქონლის გაყიდვიდან		5447773	0
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	8826179
სხვა		121034	0
გაყიდვების თვითღირებულება		-3776611	-5647837
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		1792196	3178342
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	128165
დასაქმებულთა ანაზღაურება		-628151	-647166
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-72203	-88144
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		0	-62051
იჯარის ხარჯი		-67587	-77002
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-181906	-204364
სულ საოპერაციო ხარჯები		-949847	-950562
საოპერაციო მოგება		842349	2227780
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	-512044
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-868305	-838340
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-25956	877396
მოგების გადასახადის ხარჯი		-16795	-2868
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-42751	874528
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-42751	874528
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		8875597	8763811
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-95176	-16200
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-933929	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	-746542
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		7803741	8875597

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2214462	3838054	5620977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1826565	1754779	1776824
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1162320	275530	72572
მარაგები	87524	1589078	2985915
მზა პროდუქცია	87524	8136	0
სხვა	0	1580942	2985915
საინვესტიციო ქონება	3242991	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3279741	1340975	3120
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	6489
ძირითადი საშუალებები	3441590	3487442	3485014
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	15255193	12285858	13950911
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	767600	818214	235980
ანარიცხები	5940145	2585005	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	57702
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	743707	7042	4893418
სულ ვალდებულებები	7451452	3410261	5187100
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	746542
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	8918227	9622139	8017269
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-1114486	-746542	0
სულ საკუთარი კაპიტალი	7803741	8875597	8763811
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	15255193	12285858	13950911
სულ მოკლევადიანი აქტივები	2214462	1589078	10459408
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	767600	818214	5187100

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	8314936	12080893
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-10108260	-13351772
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1793324	-1270879
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	169732	-512044
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3838054	5620977
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2214462	3838054

შპს „ალუმეტის“ დირექტორი :

/ა. გობრონიძე/

